

KEUNE

ACADEMY GEORGIA



0322 14 44 36



www.keuneacademy.ge




თბილისი, ჭავჭავაძის 20 დ

სარჩევი

1. დირექტორის მიმართვა -----	3
2. აკადემიის შესახებ -----	4
3. მისია, ხედვა, ღირებულებები -----	6
4. პარტნიორები -----	7
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები -----	8
6. პროფესიული მომზადების პროგრამები -----	10
7. შიდა სასერთიფიკატო პროგრამები -----	16
8. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების წესი და კვალიფიკაციის მინიჭება -----	18
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის -----	19
10. სტუდენტური სერვისები -----	20
11. საწარმოო პრაქტიკა -----	21
12. აკადემიის პერონალი -----	22
13. სტუდენტთა მიღება -----	23
14. კონტაქტი -----	26



ბოლო ათწლეულების განმავლობაში პროფესიული სასწავლებლებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მრავალი ინიციატივა ხორციელდება, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სისტემასთან გათანაბრებას უწყობს ხელს. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით განვახორციელეთ ახალი პროექტი, შევქმენით კეონი აკადემია ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ხელს უწყობს სილამაზის მომსახურების სფეროში განათლების მიღებით დაინტერესებულ პირების ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას. ვამზადებთ შრომის ბაზარზე ორიენტირებულ, კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ კადრებს „თმისა და მანიკურ/პედიკურის სპეციალისტებს“.



შპს „კეონი აკადემია“ შეიქმნა 2018 წელს პროფესიონალური საერთაშორისო ბრენდების - „KEUNE Haircosmetics“ და „ LCN“ -ოფიციალური წარმომადგენლობის ურთიერთობის შედეგად შპს „Beauty Life“ ბაზაზე.

შპს „კეონი აკადემია“ თავის წვლილს შეიტანს პროფესიული განათლების სწავლების ევროპულ საგანმანათლებლო სწავლებასთან დაახლოებასა და თავსებადობასთან.

კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, რომელთანაც გაგვაჩნია მრავალწლიანი გამოცდილება, თმისა და სილამაზის მომსახურეობის მიმართულებით დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს.


საერთაშორისო ბრენდი „KEUNE Haircosmetics“ არის თმის მოვლის საშუალებების ჰოლანდიური კომპანია, რომელიც დაარსდა 1922 წელს და წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს თმის პროფესიონალური კოსმეტიკის წარმოებაში. ეს არის საოჯახო ბიზნესი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს წარმოებული პროდუქციის ხარისხს, უსაფრთხოებასა და კომპანიის რეპუტაციას. მისი მიზანია აწარმოოს უსაფრთხო პროდუქცია ადამიანისა და გარემოსთვის, რასაც ადასტურებს მისთვის მინიჭებული ეკო ბრენდის წოდება.

პროდუქციას აწარმოებენ ჰოლანდიის ქალაქ სოესტში, ულტრათანამედროვე ქარხანაში. მათი გამოცდა და შესწავლა მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების ლაბორატორიებში, ასევე, მათ მიერ დაარსებულ პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებიც მდებარეობენ აშშ-ში, ავსტრალიაში, შვეიცარიაში, ბრაზილიაში, პოლონეთში, რუსეთში და ა.შ.

ფრჩხილის, ხელის, ფეხის მოვლის საშუალებების საერთაშორისო პროფესიულმა ბრენდმა „LCN“ 35- წლიანი გამოცდილებით 2008- 2010 წლებში დაიკავა პირველი და

მეორე ადგილები ევროპული კოსმეტიკის გამოფენაზე Beauty Forum-ის გამარჯვებულებს შორის ფრჩხილის მოვლის სექტორში, ხოლო 2012 წელს Beauty Dusseldorf-ის საერთაშორისო გამოფენაზე დაიმსახურა პრიზი ნომინაციაში – „სილამაზის სფეროში განსაკუთრებული სერვისი“. საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული და ეფექტური ათ წლიანი ოფიციალური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა სანდო, საქმიანი ურთიერთობა, რამაც გვიბიძგა მათი მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარების საფუძველზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკადემიის დაარსებისკენ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მოვამზადოთ / გადავამზადოთ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტები.

2021 წელს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტომ განსაკუთრებული თანამშრომლობისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის კეონი აკადემია საუკეთესო პარტნიორის ტიტულით დააჯილდოვა.



- თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება/გადამზადება.

- 2031 წლისთვის იყოს ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში, რომელიც ვითარდება ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე, ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება დაინტერესებული საზოგადოებისთვის სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებით.

- პროფესიონალიზმი, ხარისხი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა



Beauty Life წარმოადგენს საერთაშორისო ბრენდების ოფიციალურ წარმომადგენლობას საქართველოში. კომპანია დაარსდა 2009 წელს თბილისში და უზრუნველყოფს 7 ექსკლუზიური ბრენდის დისტრიბუციას ქართულ ბაზარზე (KEUNE Haircosmetics, Balmain Paris Hair Couture, LCN, SOSKIN Paris, Gatineau Paris, Apriline, Medytox). კვალიფიციური, გამოცდილი გაყიდვების წარმომადგენლების საშუალებით ხდება თითოეული საერთაშორისო ბრენდის პროდუქციის დისტრიბუცია, პოპულარიზაცია ისეთ დაწესებულებებში, სადაც დაცულია პროფესიონალური მომსახურების სტანდარტები.



HAIRCOSMETICS KEUNE Haircosmetics წარმოადგენს თმის მოვლის საშუალებების ჰოლანდიურ ბრენდს 95 წლიანი გამოცდილებით, რომელიც დაარსდა 1922 წელს ამსტერდამში, ქიმიკოს ჟან კეონის მიერ. ეს გახლავთ საოჯახო ბიზნესი, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევს წარმოებული პროდუქციის ხარისხს, უსაფრთხოებას და კომპანიის რეპუტაციას. ბრენდის მიზანია აწარმოოს უსაფრთხო პროდუქცია მომხმარებლისა და გარემოსათვის, რასაც ადასტურებს მინიჭებული ECO ბრენდის წოდება.



LCN წარმოადგენს ფრჩხილის, ხელის, ფეხის მოვლის საშუალებების, დეკორატიული კოსმეტიკის პროფესიონალურ ბრენდს 35 წლიანი გამოცდილებით, რომელიც იწარმოება გერმანულიაშ მდებარე ულტრათანამედროვე ქარხანაში. მაღალი ხარისხის ანტიალერგიული პროდუქცია დამზადებული უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებზე - თითოეული პროდუქტი აკმაყოფილებს ევროპის კოსმეტიკის სადირექტივო (European Cosmetics Directive) სამსახურის მოთხოვნებს.



სილამაზის სალონი-სტუდია სილამაზის სალონი - სტუდია KEUNE არის ჰოლანდიური ბრენდი KEUNE Haircosmetics-ის ექსკლუზიური წარმომადგენლობა საქართველოში. მისი პირველი სტუდია გაიხსნა 2011 წელს და დღეისათვის თბილისის მასშტაბით ფუნქციონირებს ორი ფილიალი. KEUNE-ს სალონების ქსელი გთავაზობთ მაღალი ხარისხის სალონურ მომსახურებას პროფესიონალური საერთაშორისო ბრენდების პროდუქციით და ულტრათანამედროვე აპარატურით.



თმის მომსახურება

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში

58 კრედიტი, 37 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. კერძოდ, თმის სტილისტის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია

- შეჭრას თმა
- სუბსტრატული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები
- მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება
- შეღებოს და გააღიოს თმა
- შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება
- შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები
- შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
- შეასრულოს თმის სპა პროცედურები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: თმის ოსტატი, პარიკმახერი, თმის სტილისტი.

პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით.



ფრჩხილის მომსახურება

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში

51 კრედიტი, 33 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. კერძოდ, ფრჩხილის ოსტატის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაამუშაოს ხელისა და ფეხის ფრჩხილი
- დაამუშაოს ფეხის ქუსლები და კოჟრები
- შეასრულოს ფრჩხილების აკრილით დაგრძელება-გაფორმება
- შეასრულოს ფრჩხილების გელით დაგრძელება-გაფორმება
- შეასრულოს ფრჩხილის გამაგრება აკრილითა და გელით
- შეასრულოს ფრჩხილების გაფორმება თვლებითა და დამატებითი აქსესუარებით
- შეასრულოს ფრჩხილის გუაშით, აკრილის საღებავებით მოხატვა
- შეასრულოს გარქოვანებული კანისა და ნუნების დამუშავება
- შეასრულოს ხელის (მაჯის) და ფეხის (ტერფის) მასაჟი.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ პოზიციაზე: ფრჩხილის ოსტატი. პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით.



5 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეცილისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს ქალისა და მამაკაცის თმის სტილის შერჩევა-შექრას.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- თავის დაბანა;
- თმის შეჭრა;
- წვერ ულვაშისა და ბაკენ -ბარდების მოდელირება;
- შეჭრილი თმისთვის საბოლოო ფორმის მიცემა;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, საქროწინო ცენტრებში, სასტუმროებში.



5 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეცილისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს თმის ღებვას.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- ფერთა თეორიის შესწავლა;
- პალიტრის წაკითხვა;
- შესაღებად საჭირო პროდუქციის შერჩევა;
- შეღებვა სხვადასხვა მეთოდით;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, საქროწინო ცენტრებში, სასტუმროებში.



5 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგებას.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- ხელისა და ფეხის ფრჩხილის დამუშავებას;
- ფრჩხილის მოდელირებას;
- ფრჩხილის დაგრძელებას და გამაგრებას გელით;
- ფრჩხილის დაფარვას გელ ლაქით;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, საქროწინო ცენტრებში, სასტუმროებში.



15 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს ქალისა და მამაკაცის თმის სტილის შერჩევა-შეჭრას და ვარცხნილობის გაკეთებას.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- თავის არწალის, თმის მახასიათებლებისა და ტიპის დადგენა;
- თმის პორცედურების შერჩევა და ჩატარება;
- თავის დაბანა;
- თმის შეჭრა და შეჭრილი თმისთვის საბოლოო ფორმის მიცემა;
- წვერ ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება;
- ვარცხნილობის შესრულება სხვადასხვა ფორმითა და სტილით;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, საქროწინო ცენტრებში, სასტუმროებში.



16 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში
კვალიფიციური სპეცილისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს თმის შეღებვას

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- დერმატოლოგიური დაავადებების იდენტიფიცირება;
- მასალის საჭირო რაოდენობის განსაზოვრა;
- ძირითადი ფერების ფორმირება სუბსტრაქტული სქემით და ფერთა შერჩევა;
- შეღებვის სხვადასხვა საშუალებებისა და სქემების გამოყენება;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია
დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, საქროწინო ცენტრებში,
სასტუმროებში.



16 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზრუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგებას.

საბაზო განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- ფრჩხილის პათოლოგიების ამოცნობა და პროფილაქტიკის ღონისძიებების განხორციელება
- ხელისა და ფეხის ფრჩხილის დამუშავება
- ფეხის ქუსლების და კოჟრების დამუშავება
- ფრჩხილის მოდელირება და დიზაინი
- ხელისა და ფეხის სპა პროცედურების დაგეგმვა და ჩატარება
- გარეოვანებილი კანისა და ნუნების დამუშავება და მასაჟი

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, საქროწინო ცენტრებში, სასტუმროებში.



4 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

უზუნველყოს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეცილისტის აღზრდა, რომელიც ახორციელებს ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგებას. მოკლე დროში გადაამზადოს სტილისტი Air touch ტექნიკის გამოყენებაში.

სტილისტად მუშაობის მინიმუმ 6 თვიანი
გამოცდილება;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება Air touch ტექნიკის გამოყენება

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება
დასაქმდეს სილამაზის სალონში.



4 სასწავლო კვირა

საბაზო განათლება

მანიკურის სპეციალისტად მუშაობის მინიმუმ 6

თვიანი გამოცდილება;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება ფრჩხილის დაგრძელება აკრილით და გელით;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის სალონში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მოდულით გათვალისწინებული კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი. სწავლის შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდება შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შესაძლებელია რამოდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურებაც. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად „სწავლის შედეგი დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგი არ დადასტურდა“.

კვალიფიკაციის მისაღებად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და სხვა პროცედურულ საკითხებს არეგულირებს სასწავლო პროცესის მართვის წესი.



შპს „კეონი აკადემია“ უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთათვის ადაპტირებულ სასწავლო გარემოს, შენობაში შესასვლელად არის პანდუსი, სველი წერტილები ადაპტირებულია, სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ადგილებში გადაადგილება ეტლით მოსარგებლე პირთათვის არ იზღუდება.

სმენადაქვეითებული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო მასალები, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. გამოცდების პროცესი განხორციელდება წერილობითი ფორმით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, აკადემია შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით, ხოლო კვალიფიკაცია-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წესით.

- აკადემიაში ფუნქციონირებს პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც საერთო ღირებულებების და პრინციპების გათვალისწინებით, ხელს უწყობს დაინტერესებულ სტუდენტთა დასაქმებას, კარიერული განვითარების მიმართულების ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში, პროექტებში მონაწილეობას.

- აკადემიის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია გარე და შიდა დაკვირვების კამერები. სტუდენტთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის დაცვის მიზნით. აკადემიაში ფუნქციონირებს სამედიცინო დანიშნულების პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით. ასევე საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწევა შშმ და სსსმ პირებს.


სოციალურად დაუცველი და ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტებისათვის იმოქმედებს წინასწარ განსაზღვრული საშელავათო თანხის გადახდის/გადანაწილების პირობები, რომლის განსაზღვრაც მოხდება ინდივიდუალურად, სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე.

აკადემიის ბიბლიოთეკის ძირითადი დანიშნულებაა ეფექტურად გამოიყენოს საბიბლიოთეკო რესურსი. უზრუნველყოს, როგორც აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე. საბიბლიოთეკო ფონდი შეიცავს, როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ რესურსებს. ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ხელმძღვანელობს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. სასწავლო და სამუშაო მიზნებიდან გამომდინარე, მკითხველის სარგებლობაშია საბიბლიოთეკო სერვისები (ასლის გადაღება, პრინტერით მომსახურება, ინტერნეტით სარგებლობა და სხვა).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის აკადემია იმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიუ პროგრამას და აღწერს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მისღწევი სწავლის შედეგებს და მათი მიღწევს ინდივიდუალურ გზებს;

სპეციალური გარდა ხარისხიანი განათლების მიწოდებისა, აკადემია ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მასტერკლასებს, ინტელექტუალურ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს.

სამუშაო დღეები: ორშაბათი - პარასკევი. სამუშაო საათები: 09:00- 18:00



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან სილამაზის სალონში : სტუდია KEUNE -ში .

საწარმოო პრაქტიკა პროფესიული სტუდენტის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას რეალურ გარემოში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი თეორიული ცოდნა და გამოიმუშავებული კომპეტენციები.

საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- სამუშაო გარემოს ორგანიზება;
- მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით ზედამხედველობის ქვეშ პროფესიული ამოცანების შესრულება;
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარება;



აკადემიის პერსონალს გააჩნია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება. სისტემატურად ხორციელდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის საშუალებით. აკადემიაში შემუშავებულია პერსონლის შერჩევის გამჭვირვლე და სამართლიანი პროცედურა. ჩვენ ვამაყობთ რომ გვყავს გამოცდილი და პროფესიონალის დარგის **მასწავლებლები**.

პერსონალის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე <https://keuneacademy.ge> რუბრიკაში პერსონალი.



პროფესიულ პროგრამაზე მიღების გამოცხადება

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით

ბრძანებით განისაზღვრება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური
- ჩარიცხვის პირობები
- წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი
- დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღები
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

ინფორმაცია პროგრამაზე მიღების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, დაწესებულების ვებ გვერდზე და შესაძლოა სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სადაც დამატებით მიეთითება საკონტაქტო და სხვა სახის საჭირო ინფორმაცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში-წარმომადგენლის) განცხადება;
- აპლიკანტის პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს);
- არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი (ორიგინალთან

ერთად. საბუთების მიღების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს) ან/და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას ;

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი;
- იმ ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რა ენაზეც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა. დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო პროგრამის განხორციელების ენაზე. ინგლისური ენის შემთხვევაში - საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი (ინგლისურის, როგორც მეორე უცხო ენის ტესტის ჩაბარების დოკუმენტი ან სხვა) ან აკადემიის ენების სკოლის მიერ ჩატარებული სასერტიფიკატო გამოცდის შედეგების გათვალისწინებით გაცემული ინგლისური ენის სერტიფიკატი. არაქართულენოვანი პირის მიერ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის არარსებობისას პირს უტარდება გამოცდა ენების სკოლის მიერ. პირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ის სწავლას იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის ქართული ენის მოდულით;
- თუ პირი ითხოვს შეღავათს სწავლის საფასურის გადახდისას და „სწავლის საფასურის გადახდის პირობებისა და წესის“ შესაბამისად შესაძლებელია მიენიჭოს ასეთი შეღავათი, დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნას იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რაც ადასტურებს პირის იმ სტატუსს, რის გამოც მას ენიჭება შეღავათი.
- აპლიკანტის მიერ აკადემიაში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება აპლიკანტს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნდა წარმოადგინონ ან ელექტრონულად გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში-წარმომადგენლის) განცხადება (ქართულ ან ინგლისურ ენაზე);

- აპლიკანტის პასპორტის ასლი (ორიგინალი წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად, ჩარიცხვის შესახებ ოფიციალური თანხმობის გაცემის შემდეგ, კონტრაქტის გაფორმების მომენტში. კონტრაქტის გაფორმების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს)
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, (ორიგინალი და განათლების აღიარების დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად, ჩარიცხვის შესახებ ოფიციალური თანხმობის გაცემის შემდეგ, კონტრაქტის გაფორმების მომენტში. კონტრაქტის გაფორმების დასრულებისთანავე ორიგინალი დაუბრუნდება განმცხადებელს);
- პირმა, რომელმაც წინმსწრები განათლება მიიღო უცხოეთში, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროფესიულ პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;
- იმ ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რა ენაზეც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა. დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო პროგრამის განხორციელების ენაზე. ინგლისური ენის შემთხვევაში - საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი (ინგლისურის, როგორც მეორე უცხო ენის ტესტის ჩაბარების დოკუმენტი ან სხვა) ან აკადემიის ენების სკოლის მიერ ჩატარებული სასერთიფიკატო გამოცდის შედეგების გათვალისწინებით გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი. დოკუმენტის წარმოდგენა არაა სავალდებულო, თუ პირი არის იმ ქვეყნიდან, რომლის სახელმწიფო ენაა ინგლისური;
- არაქართულენოვანი პირის მიერ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში- ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის არარსებობისას პირს უტარდება გამოცდა ენების სკოლის მიერ. პირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ის სწავლას იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის ქართული ენის მოდულით;

მისამართი: პ.ჭავჭავაძის 20 დ

ტელეფონი :+ 995 032 2 14 44 36

ელფოსტა: info@keuneacademy.ge

FACEBOOK : <https://www.facebook.com/KeuneAcademyGe>

LinkedIn: <https://www.linkedin.com/company/keune-academy-georgia>

<https://keuneacademy.ge>